

სააქციო საზოგადოება
„ზირათ ბანკის თბილისის ფილიალი“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა





ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ. № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

სს „ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება მე-2 და მე-3 გვერდებზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამორჩეულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა „ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი“-ს ("ბანკი") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ბანკი გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.




ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ. № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge


FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2015 წლის 14 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:


 დირექტორი
 მეჰმეთ უჩარი
 14 მაისი 2015
 თბილისი, საქართველო




 მთავარი ბუღალტერი
 დავით ქისტაური
 14 მაისი 2015
 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.



ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.



ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ზირათ ბანკის თბილისის ფილიალის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მართვის ჯგუფი

14 მაისი, 2015 წელი


თბილისი, საქართველო




სს “ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი”
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბალანსის უწყისი	შენიშვნა	31.12.2013	31.12.2014
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტები	6	18 152 051	32 095 770
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	4 628 472	9 098 499
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	8 063 697	10 867 006
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	9 767 166	13 019 615
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივი	10	2 202	2 826
სხვა აქტივები	11	215 893	217 792
ჯამურად მიმდინარე აქტივები		40 829 481	65 301 508
ძირითადი საშუალებები	12	1 584 546	1 135 587
არამატერიალური აქტივები	13	221 106	243 993
სულ გრძელვადიან აქტივები		1 805 653	1 379 580
სულ აქტივები		42 635 133	66 681 088
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	14	1 736 497	6 707 545
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	15	19 674 585	41 968 875
გადასახდელი პროცენტები		23 323	4 174
რეზერვები	16	213 180	313 070
სხვა ვალდებულებები	11	4 173 667	149 352
სულ ვალდებულებები		25 821 252	49 143 016
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	15 204 182	15 204 182
გაუნაწილებელი მოგება		1 589 698	2 317 890
გადაფასების რეზერვი		20 000	16 000
სულ კაპიტალი		16 813 881	17 538 072
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		42 635 133	66 681 088


 დირექტორი
 მეჰმეთ უჩარი
 14 მაისი 2015
 თბილისი, საქართველო




 მთავარი ბუღალტერი
 დავით ქისტაური
 14 მაისი 2015
 თბილისი, საქართველო

სს “ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი”
 მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალის ანგარიშგება	უნიშვნა	12 თვე, 2013 წ.	12 თვე, 2014 წ.
საპროცენტო შემოსავალი	18	1 324 278	1 988 766
საპროცენტო ხარჯი	18	(145 561)	(222 197)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1 178 717	1 766 569
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი		(109 299)	(29 347)
წმინდა პროცენტული შემოსავალი სესხების რეზერვების შექმნის შემდეგ		1 069 418	1 737 222
საკომისიო შემოსავალი	19	514 631	679 226
საკომისიო ხარჯი	19	(256 902)	(264 920)
სხვა შემოსავლები	20	67 935	161 000
მოგება/ზარალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით		473 258	1 050 519
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(35 779)	(63 251)
მოგება/ზარალი დანარჩენი აქტივების შესაძლო დანაკარგები მიხედვით		(171 786)	(89 131)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(2 113 948)	(2 482 474)
მოგება/ზარალი დაბეგრამდე		(453 174)	728 192
მოგების გადასახადი	10	-	-
წმინდა მოგება		(453 174)	728 192

სს “ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი”
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წმინდა მოგება (ზარალი)	(453 174)	728 192
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		
შენობა-ნაგებობების გადაფასებით მიღებული მოგება (ზარალი)	20 000	(4 000)
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება	20 000	(4 000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(433 174)	724 192



დირექტორი
მეჰმეთ უჩარი

14 მაისი 2015

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
დავით ქისტაური

14 მაისი 2015

თბილისი, საქართველო

	31.12.2013	31.12.2014
წმინდა მოგება	(453 174)	728 192
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	467 405	518 164
ცვლილებები რეზერვებში	191 786	95 890
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	206 018	1 342 246
ცვლილებები მოთხოვნებში საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(3 945 960)	(4 470 027)
ცვლილებები საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებში	7 049 815	(3 252 449)
ცვლილებები კლიენტებზე გაცემულ სესხებში	(5 982 917)	(2 803 308)
ცვლილებები მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივი	10 035	(624)
ცვლილებები სხვააქტივებში	(18 056)	(1 900)
ცვლილებები ვალდებულებებში საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1 736 309	4 971 048
ცვლილებები ვალდებულებებში კლიენტების წინაშე	11 875 754	22 294 289
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	3 938 038	(4 024 315)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	14 869 034	14 054 961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექმნა	(1 047 552)	(92 092)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 047 552)	(92 092)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	3 797	(19 149)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3 797	(19 149)

ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	13 825 279	13 943 720
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	4 326 771	18 152 051
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	18 152 050	32 095 770



დირექტორი
მეჰმეთ უჩარი

14 მაისი 2015

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
დავით ქისტაური

14 მაისი 2015

თბილისი, საქართველო

სს “ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი”
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდები კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	15 204 182	2 042 872	-	17 247 054
კაპიტალის უზრუნველყოფის მატება წმინდა მოგება/(ზარალი)		(453 174)		(453 174)
ძირითადი საშუალებების გადაფასება			20 000	-
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	15 204 182	1 589 698	20 000	16 813 881
კაპიტალის უზრუნველყოფის მატება წმინდა მოგება/(ზარალი)		728 192		728 192
ძირითადი საშუალებების გადაფასება			(4 000)	-
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	15 204 182	2 317 890	16 000	17 538 072



დირექტორი
მეჰმეთ უჩარი

14 მაისი 2015
თბილისი, საქართველო





მთავარი ბუღალტერი
დავით ქისტაური

14 მაისი 2015
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

სს „ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი“ (შემდგომში – „ბანკი“) დაფუძნდა თურქეთის სს „ემლაქ ბანკის“ გენერალური სამმართველოს 1998 წლის 12 თებერვლის #4 გადაწყვეტილებისა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სახაზინო სამრჩევლოს 1998 წლის 24 თებერვლის #7715 ნებართვის საფუძველზე როგორც თურქეთის სს „ემლაქ ბანკის“ თბილისის ფილიალი, 2001 წელს მოხდა თ. ემლაქ ბანკის აქტივების და ვალდებულებების ნაწილობრივი გადაცემა თ.ს. ზირაათ ბანკზე, რის გამოც 2001 წლის სექტემბერში ბანკმა შეიცვალა სახელწოდება და დარეგისტრირდა თ.ს. ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი-ს სახელწოდებით. ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0102 თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი #148. ბანკის საიდენტიფიკაციო კოდია 202057610.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად ბანკს უფლება ჰქონდა განახორციელოს ყველა საბანკო ოპერაცია, მაგრამ თ.რ. სს ზირაათ ბანკის გენერალური სამმართველოს მოთხოვნის შესაბამისად სებ-მა 27/03/2002-ის წერილით შეუზღუდა ბანკს ლიცენზია და შეუჩერა კრედიტების და გარანტიების გაცემის უფლება. თუმცა თ.რ. სს ზირაათ ბანკის გენერალური სამმართველოს ახალი 2006 წლის 7 სექტემბრის მოთხოვნის პასუხად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაუდგინა ზირაათ ბანკს კრედიტების გაცემის უფლება 2006 წლის 22 დეკემბრის წერილის თანახმად. მიუხედავად ამისა საანგარიშგებო პერიოდში ბანკს კრედიტების გაცემით არ უსარგებლია.

წლის განმავლობაში ბანკის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 31.

2. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბანკის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის შესაბამისად გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 16: „ძირითადი საშუალებების შესაბამისად გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებები“-სა.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ბალანსზე ხდება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღრიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში (“სებ”) და იმ ქვეყნების ბანკებში განთავსებულ სახსრებს, რომლებიც შედიან ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (“ეგთო”) 90 დღემდე დაფარვის ვადით.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მინიმალური რეზერვის გამოყენება ექვემდებარება შეზღუდვას და არ არის მიკუთვნებული ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს.

მოთხოვნები ბანკების მიმართ

თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს სხვა ბანკებში სხვადასხვა ვადებით. მოთხოვნები ბანკების

მ

მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები აისახება გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ბანკის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შესყიდვასა და შექმნასთან. სადაც სამართლიანი ღირებულებით ასახული ანაზღაურება არ უდრის სესხის სამართლიან ღირებულებას, მაგალითად როდესაც სესხის გაცემა ხდება საბაზროზე ნაკლები განაკვეთით, მათ შორის სხვაობა აისახება როგორც დანაკარგი სესხის თავდაპირველი აღიარებისას და მოგება ზარალის უწყისში აისახება დანაკარგების ტიპის მიხედვით. შედეგად, სესხის ნარჩენი ღირებულება აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მოსალოდნელ დაფარვის ვადაზე დაყრდნობით. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

შედეგად, სესხის ასახვა ხდება ნარჩენი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კლიენტებზე გაცემული სესხები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების შესაძლო გაუფასურების დანაკარგის რეზერვთან მიმართებაში.

გაუფასურების რეზერვი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ბანკის გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, ბანკი ადგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ნარჩენ ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან მიღებული თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

ნარჩენი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც მენეჯმენტის განსჯით ფარავს შესაბამის დანაკარგს. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე სარეზერვო ანგარიშის (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები), ან ჩამოწერის (ნარჩენი ღირებულებით ასახული აქტივები) შედეგად. ბალანსში ასახული აქტივებს აკლდება გაუფასურების თანხა. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ბანკი განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა მსესხებლის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკების მიმართ დამოკიდებულება, მსგავსი ფინანსური აქტივების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა, აგრეთვე უზრუნველყოფისა და გარანტიების საბაზრო ღირებულება. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ზარალის შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორებს. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღრიცხული გაუფასურების თანხა საკმარისია რისკს დაქვემდებარებული აქტივებზე განცდილი დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში ბანკმა განიცადოს დანაკარგები, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე აღრიცხული გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ბანკმა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის” საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და
- ბანკმა ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება, როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს, რომ ბანკმა ან: (ა) გადასცეს აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას, მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადის მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ბანკი აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება, მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ბანკი აფასებს რამდენად შენარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა.

სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არ ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	25%
ავეჯი	16,67%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
დანარჩენი ძირითადი საშუალებები	25%
იჯარით აღებული საკუთრების გაუმჯობესება	20%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღმატება თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აღმატება სამართლიან ღირებულებას გაყიდვის ხარჯების და არსებული ღირებულების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

ძირითადი საშუალებები მოცემულია გადაფასებული თანხით, რომელიც წარმოადგენს გადაფასების თარიღისათვის სამართლიან ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა საბაზარო პრაქტიკაზე დაყრდნობით პროფესიონალი შემფასებლის მიერ არჩეული შეფასებით, დაკლებული შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაცია და შემდგომი აკუმულირებული დანაკარგები. გადაფასება ხორციელდება ისე რომ ნარჩენი ღირებულება სერიოზულად არ განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებისაგან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად გაზრდილი ღირებულება აღირიცხება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ანგარიშის დაკრედიტებით, გარდა იმ შემთხვევისა თუკი ის ამცირებს წინა პერიოდებში აღიარებულ გადაფასების შედეგად მიღებულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, ზრდა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშზე წინა პერიოდში აღიარებული ხარჯების ოდენობით. გადაფასების შედეგად გამოწვეული ნარჩენი ღირებულების შემცირება აღირიცხება წინა პერიოდში წარმოშობილი გადაფასების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

გადაფასებული შენობების ცვეთა აისახება მოგება-ზარალის უწყისში. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი მოხმარებისას გადაფასების ნარჩენი ღირებულება, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება პირდაპირ აისახება გაუნაწილებელ მოგებაში. რეალიზებული გადაფასების ნარჩენი ღირებულება არის სხვაობა აქტივების გადაფასების ნარჩენი ღირებულებით ასახულ და აქტივების ისტორიული ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთას შორის.

შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება შემდეგი სამი მეთოდით ფასდება:

- შეფარდებითი გაყიდვის მეთოდი, რომელიც მოიცავს მსგავსი უძრავი ქონების საბაზრო გასაყიდი ფასების ანალიზს;
- შემოსავალზე დამყარებული მეთოდი, რომელიც აფასებს პირდაპირ დამოკიდებულებას უძრავი ქონებით გენერირებულ შემოსავლებსა და საბაზრო ღირებულებას შორის;
- ღირებულებაზე დამყარებული მიდგომა, რომელიც უძრავი ქონების ღირებულებას ითვალისწინებს მისი აღდგენითი ღირებულების შესაბამისად ცვეთის ხარჯების გამოკლებით.

საგადასახადო დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და საბალანსო უწყისში აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომელიც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ბანკი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობების რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება და საბალანსო ანგარიშგებაში აისახება წმინდად, თუ:

- აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის აქტივის გაქვითვა საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებებთან მიმართებაში; და
- გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და საშემოსავლო ვალდებულებები უკავშირდება საშემოსავლო გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო ორგანომ დაუწესა ამავე საწარმოს.

ვალდებულებები ბანკების მიმართ, კლიენტთა ანგარიშები, სუბორდინირებული სესხი

ვალდებულებები ბანკების, კლიენტებისა და სუბორდინირებული სესხის მიმართ თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარებიან სამართლიანი ღირებულებით. მისაღები თანხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსავალსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალის საბოლოო გადახდამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება. აღნიშნული ვალდებულებების შეფასება შესაძლებელი უნდა იყოს საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

გაცემული ფინანსური გარანტიები და აკრედიტივები

ბანკის მიერ დადებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები და აკრედიტივები, წარმოადგენენ საკრედიტო ოპერაციების უზრუნველყოფას, რომელიც ითვალისწინებს გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევისათვის, თუ დებიტორი სასესხო ინსტუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას. ამგვარი ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით ექვემდებარება. შემდგომში, ისინი ფასდებიან იმ თანხით, რომელიც უფრო მეტია: (ა) თანხა, რომელიც აღიარებულია რეზერვის სახით, ბას 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად და (ბ) თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით, ფინანსური გარანტიებიდან ან აკრედიტივებიდან, ან პრემიის სახით მომავალში მისაღები შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევო.

საწესდებო კაპიტალი და აქციების ფასნამატი

საწესდებო კაპიტალში შენატანის აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. აქციების ფასნამატი წარმოადგენს შენატანის მეტობას გამოცემული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე.

ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული გარე ხარჯები, ბიზნეს კომბინაციების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოდინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება სესხის გაცემამდე სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშში ვადის ამოწურვის დღეს. სასესხო მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დროს. ყველა სხვა საკომისიოების აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება საბალანსო უწყისის შედგენის თარიღისათვის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშში როგორც საკურსო ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება ან ზარალი.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2014
ლარი/1 აშშ დოლარი	1.7363	1,8636
ლარი/1 ევრო	2.3891	2,2656
ლარი/1 თურქული ლირა	0.8122	0,8040

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ბალანსში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს ბალანსში აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ბანკი ვალდებულებებთან არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს.

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო

ბანკის ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს საანგარიშგებო თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და აღიარებულ მოგებასა და ზარალზე პერიოდის ბოლოსათვის. ხელმძღვანელობა უწყვეტობის პრინციპით აფასებს დაშვებებსა და დასკვნებს. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისაგან სხვადასხვა პირობებში. ბანკი ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენისათვის მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი შეფასებები და დაშვებები:

სესხების გაუფასურების რეზერვი

ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დამკვეთებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან ანარიცხების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას ეყრდნობა ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც უთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის საწინააღმდეგო ცვლილებაზე და ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებზე, რომელიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დამკვეთებს აქტივებზე განცდილ ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და გაუფასურების ობიექტური საფუძვლით, რომელიც საერთოა სესხების ჯგუფისათვის. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და ასწორებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს ამ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკს არ შეუძლია გაითვალისწინოს რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

გასაყიდად არსებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს დადგენილ თანხას, რომლითაც იგი გაიცვლება მოსურვე მხარეებს შორის გარდა იძულებითი, ან სალიკვიდაციო გაყიდვისა. თუ კვოტირებული საბაზრო ღირებულება ხელმისაწვდომია ინსტრუმენტისათვის, სამართლიანი ღირებულება იანგარიშება საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ ჩანს ბაზრიდან, ან მისი აღება შეუძლებელია საბაზრო ფასებიდან სამართლიანი ღირებულება დგინდება სხვა არსებულ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მართებულია თითოეული პროდუქტისა და ფასის დადგენის მოდელისათვის, რომელიც იყენებს ფინანსურ თეორიებზე დაფუძნებულ მათემატიკურ მეთოდოლოგიას. ფასის დადგენის მოდელები ითვალისწინებენ ფასიანი ქალაღდების კონტრაქტის პირობებს და შეფასების საბაზრო პარამეტრებს, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, ცვაღებაღობა, გაცვლითი კურსები და კონტრაგენტის საკრედიტო განაკვეთი.

იქ საღაც ბაზარზე დაფუძნებული პარამეტრები არ არსებობს ხელმღღვანეღობა დაადგენს ამ პარამეტრის შეფასების საუკეთესო შედეგს იმის გათვალისწინებით, თუ ინსტრუმენტის რა ფასი დადგინდებღობა ბაზარზე. ამ მიდგომის განხორციეღებისას გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომღებიც მოიცავს: სარწმუნო განსახიღვეღ მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოღაციის მეთოდებს. თავდაპირვეღი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებუღების საუკეთესო დასაბუთება არის ტრანზაქციის ფასი, თუ ინსტრუმენტი დასაბუთებულია საბაზრო მონაცემებთან შეღარების საფუძვეღზე. ნებისმიერი სხვაღობა ტრანზაქციის ფასსა და ღირებუღებას შორის, რომელიც შეფასების ტექნიკას ეფუძნება არ აისახება მოგება-ზარაღის უწყისში თავდაპირვეღი აღიარებისას. შემდგომი მოგება და ზარაღი აისახება თუ იგი წარმოიშობა ფაქტორში ცვლიღებების შედეგად, რომღებსაც ბაზარზე ითვალისწინებენ ფასის დადგენისას.

ბანკი მიიღნვეს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებასთან დაკავშირებული ბუღალტრული დაშვებები, იმ შემთხვევაში როდესაც საბაზრო ფასები არ არის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს შეფასების არასაწრმუნოღობის მთავარ წყაროს, რადგან (I) არსებობს დიდი აღბათობა მათი პერიოღული ცვლიღებისა, იმის გამო რომ იგი საჭიროებს ხელმღღვანეღობის შეფასებებს საპროცენტო განაკვეთთან, ცვაღებაღობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო შეფასებასთან, შეფასების კორექტირებასა და ტრანზაქციის სპეციფიურ მახასიათებღებთან დაკავშირებით და (II) შეფასებისას ცვლიღების აღიარებას ექნება გავღენა აქტივებზე ბალანსში და ასევე მოგება-ზარაღზე, რომელიც შეიღღება იყოს მნიშვნეღოვანი.

ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვა დაშვებები საპროცენტო განაკვეთთან, ცვალებადობასთან, გაცვლით კურსებთან, კონტრაგენტის საკრედიტო შეფასებასთან და შეფასების კორექტირებასთან დაკავშირებით, ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას, იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს კვოტირებული საბაზრო ფასები, როგორც დიდ ასევე პატარა ცვილილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ბანკის წარმოდგენილ წმინდა მოგებაზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ბასს 32 „ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა“ - ბასს 32-ში შესული ცვლილებები

ეს ცვლილებები განმარტავს იმას, თუ რას ნიშნავს „ამჟამად აქვს გაქვითვის იურიდიული უფლება“ და ასევე კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკლირინგო დაწესებულების ანგარიშსწორების არათანდართული მექანიზმები, რომ მიიღოს ურთიერთგაქვითვის უფლება. ამ დამატებებს გავლენა არ აქვთ „ბანკის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფაისკ 21 -ის ინტერპრეტაცია მოსაკრებლების თაობაზე (IFRIC 21)

ფაისკ 21 განმარტავს, რომ საწარმო ვალდებულებას აღიარებს მოსაკრებლის მიზნით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს გადახდის გამომწვევ ქმედებას (შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით). ინტერპრეტაციის მიხედვით, ისეთი მოსაკრებლის შემთხვევაში, რომელიც გადასახდელია მინიმალური ზღვრის მიღწევის შედეგად, ვალდებულება არ წარმოიქმნება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული აღნიშნული მინიმალური ზღვარი. „ფაისკ“ - ის ამ ინტერპრეტაციას, არანაირი გავლენა არ მოუხდენია „ბანკის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ამ უკანასკნელმა წინა წლებში გამოიყენა დოკუმენტით, „ბასს 37: ანარცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები“, განსაზღვრული აღიარების პრინციპები, რომლებიც შეესაბამება „ფაისკ 21“ ის მოთხოვნებს.

*არაფინანსური აქტივების აღდგენითი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები -
ბასს 36 -ის შესწორება*

ამ ცვლილებებით უქმდება ფასს 13-ის „სამართლიანი ღირებულების შესწორება“ გავლენა ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით სავალდებულო განმარტებით შენიშვნებზე. გარდა ამისა, ეს ცვლილებები მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულებების შესახებ, რომლებისთვისაც პერიოდის განმავლობაში აღიარებული ან შებრუნებულია გაუფასურების ზარალი. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია „ბანკის“ ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

გამოქვეყნებულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც „ბანკმა“ ვადაზე ადრე არ დანერგა და რომლებიც სავალდებულოა „ბანკისთვის“ 2015 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდში:

ფასს(IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. აუცილებელია რეტროსპექტიურად გამოყენება, მაგრამ შესაბამისი ინფორმაცია არ არის სავალდებულო. ფასს 9-ის (2009, 2010 და 2013 წლების) წინა ვერსიების გამოყენება დასაშვებია, თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღი წინ უსწრებს 2015 წლის 1 თებერვალს, ფასს 9 - ის მიღება იმოქმედებს ბანკის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ბანკის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

„ფასს 15“ გამოიცა 2014 წლის მაისში და იგი ამკვიდრებს ახალ, 5-ნაბიჯიან მოდელს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვისთვის „ბასს 17“-ის „იჯარა“ მოქმედების ფარგლებში მოქცეული საიჯარო ხელშეკრულებებიდან, ფასს 4-ის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ მოქმედების ფარგლებში მოქცეული სადაზღვევო კონტრაქტებიდან და ბასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ (ან ფასს - 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, თუ ადრე იქნა მიღებული) მოქმედების ფარგლებში მოქცეული სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისა და საკონტრაქტო უფლებებისგან მიღებული შემოსავლები, არ ხვდება ფასს 15-ის მოქმედების ფარგლებში და მათი აღრიცხვა ხდება შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ფასს 15-ის პრინციპები შემოსავლის შეფასებისა და აღიარების უფრო სისტემატურ მიდგომას გვთავაზობს.

შემოსავლის ახალი სტანდარტები ვრცელდება ყველა საწარმოზე და ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული ან ნაწილობრივ შეცვლილი რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. „ბანკი“ ამჟამად აფასებს ფასს 15-ის გავლენას და აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის.

ფასს(IFRS) 14 „გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები“

ფასს 14 არის ნებაყოფლობით გამოყენებული სტანდარტი, რომელიც საწარმოს, რომლის საქმიანობაზეც ვრცელდება ტარიფების რეგულირება, საშუალებას აძლევს, გააგრძელოს არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის მეტი წილის გამოყენება გადავადების მარეგულირებელი ანგარიშების ნაშთებისთვის, ფასს - ის პირველად გამოყენებას. საწარმოებმა, რომლებიც გამოიყენებენ ფასს 14-ს, გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად უნდა წარმოადგინონ და ასახონ ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების მოძრაობა ცალკე მუხლად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში. სტანდარტით სავალდებულოა საწარმოს ტარიფების რეგულირების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების, ასევე მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ტარიფების რეგულირების გავლენის გაცხადება. ფასს14 ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან „ბანკი“ ანგარიშგებას არსებული ფასს-ის მიხედვით ამზადებს, ეს სტანდარტი მასზე არ ვრცელდება.

ცვლილებები ბასს (LAS) 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები: თანამშრომელთა შენატანები“

ბასს 19 მოითხოვს საწარმოსგან, რომ დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის აღრიცხვისას გაითვალისწინოს თანამშრომლებისა და მესამე პირების შენატანები. როდესაც შენატანები დაკავშირებულია მომსახურებასთან ისინი უნდა მიეკუთვნოს მომსახურების გაწევის პერიოდს, როგორც უარყოფითი სარგებელი. ეს ცვლილებები განმარტავს, რომ თუ შენატანების რაოდენობა არ არის დამოკიდებული მომსახურების გაწევის წლების რაოდენობაზე, ორგანიზაციას აქვს უფლება, რომ ესეთი შენატანები აღიაროს, როგორც მომსახურების ღირებულების შემცირება, იმ პერიოდში, როდესაც გაიწია ეს მომსახურება, იმის ნაცვლად, რომ გადაანაწილოს შენატანები მომსახურების მიწოდების პერიოდებზე. ცვლილებები ძალაში შედის 2014 წლის 1 ივლისს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. აღნიშნული ცვლილებები სავარაუდოდ „ბანკზე“ გავლენას ვერ მოახდენს, რადგან „ბანკში“ შემავალ არცერთ სამეურნეო ერთეულს არ აქვს დადგენილი გადასახდელიანი პროგრამა, სადაც შენატანები შეაქვთ თანამშრომლებსა და მესამე პირებს.

ცვლილებები ფასს (IFRS) 11-ში „ერთობლივი საქმიანობა: წილების შეძენის აღრიცხვა“

ფასს 11-ში შეტანილი ცვლილებები მოითხოვს ერთობლივი ოპერატორისგან, რომელიც აწარმოებს ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში შეძენილი წილების აღრიცხვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ერთობლივი ოპერაცია წარმოადგენს ბიზნესაქტივობას, გამოიყენოს ფასს 3-ის შესაბამისი პრინციპები, განკუთვნილი საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვისთვის. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ ერთობლივ საქმიანობაში წარსულში არსებული წილი არ ექვემდებარება გადაფასებას, იმავე ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში დამატებითი წილის შესყიდვისას, როდესაც ხდება ერთობლივი კონტროლის შენარჩუნება. ამასთანავე, ფასს 11-ს დაემატა გამონაკლისები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ეს ცვლილებები არ გამოიყენება, როდესაც მხარეები, რომლებიც ინაწილებენ ერთობლივ კონტროლს, მათ შორის ანგარიშგებელი ერთეული, ექვემდებარებიან ერთი და იმავე უზენაესი მაკონტროლებელი მხარის საერთო კონტროლს.

ცვლილებები ეხება როგორც პირველადი წილის შესყიდვას საერთო ოპერაციაში, ასევე ნებისმიერი დამატებითი წილის შესყიდვას იმავე საერთო ოპერაციაში და ძალაში შედის წლიური ანგარიშებისთვის, 2016 წლის 1 იანვრიდან და შემდეგ. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს არანაირი გავლენა არ ექნება „ბანკზე“.

ცვლილებები ბასს (LAS) 16-სა და ბასს (LAS) 38-ში: ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის მისაღები მეთოდების დაზუსტება

ცვლილებები განმარტავს ბასს 16-ისა და ბასს 38-ის პრინციპს, რომ შემოსავალი ასახავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება ბიზნესსაქმიანობიდან (რისი ნაწილიც არის აქტივი) და არა იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ათვისებაც ხდება აქტივის გამოყენებით. ამის შედეგად, შემოსავლის მეთოდის გამოყენება არ შეიძლება ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისთვის ცვლილებები ძალაშია პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ იქონიებს „ბანკზე“, რადგან იგი არ იყენებს შემოსავლების მეთოდს თავის გრძელვადიან აქტივებზე ცვეთის დარიცხვისთვის.

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (LAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“.

ცვლილება ეხება ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის არსებულ აღიარებულ შეუსაბამობას შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვასთან მიმართებით. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, ინვესტორი აღიარებს მოგებას ან ზარალს აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით, რაც ფასს-ს 3 -ის თანახმად, წარმოადგენს ბიზნეს ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ყოველ შვილობილ კომპანიაში დარჩენილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით გადაფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებული იქნება მხოლოდ ყოფილ შვილობილ კომპანიაში ინვესტორის წილის ფარგლებში. ცვლილებების გამოყენება დასაშვებია პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვარს შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია.

შენიშვნა 6 - ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტები

	31.12.2013	31.12.2014
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	1 289 772	1 772 856
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	1 155 246	202 333
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	5 984 433	3 348 182
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტები სებ-ში	6 250 000	-
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში	3 472 600	26 772 400
ჯამურად ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტები	18 152 051	32 095 770

შენიშვნა 7 - მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	31.12.2013	31.12.2014
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	2 892 172	4 346 319
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი	1 736 300	4 752 180
სულ მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4 628 472	9 098 499

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლოს მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციას შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

შენიშვნა 8 - კლიენტებზე გაცემული სესხები

	31.12.2013	31.12.2014
მიმდინარე სესხები	8 166 907	11 034 432
ვაგადაცილებული სესხები	12 745	-
დარიცხული პროცენტი	55 620	64 973
გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ხარჯი	(171 575)	(232 399)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	8 063 697	10 867 006

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვი:

სესხის რეზერვის ცვლილება

	2013	2014
სესხის რეზერვი 1 იანვრისათვის	42 627	(171 575)
სესხის რეზერვი წლის განმავლობაში	306 429	306 258
სესხის რეზერვის ჩამოწერე/დაბრუნება წლის განმავლობაში	(177 481)	(367 083)
სულ სესხის რეზერვი 31 დეკემბრისათვის	171 575	(232 399)

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ამ მიზნით შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრები და ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- უძრავი ქონება
- მოძრავი ქონება
- მესამე მხარეთა თავდებობა
- საბანკო დეპოზიტები

სესხები უზრუნველყოფის სახეების მიხედვით

	31.12.2013	31.12.2014
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3 601 281	6 697 330
მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	66 839	-
მესამე პირის გარანტიით უზრუნველყოფილი სესხები	4 398 042	4 136 467
არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) სესხები	113 490	200 635
სულ სესხები უზრუნველყოფის სახეების მიხედვით	8 179 652	11 034 432

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების (რომლებიც საქართველოშია გაცემულია) გადანაწილება დარგების მიხედვით:

	2013		2014	
	თანხა	%	თანხა	%
ფიზიკური პირები	2 165 847	26%	4 443 277	40%
ვაჭრობა და მომსახურება	6 013 805	74%	6 161 313	56%
მშენებლობა	-	0%	429 842	4%
სხვა	-	0%	-	0%
სულ კლიენტებისათვის გაცემული სესხები	8 179 652		11 034 432	

შენიშვნა 9 - საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	31.12.2013	31.12.2014
სადეპოზიტო სერტიფიკატები	9 862 000	13 500 000
გამოკლებული დისკონტი	(94 834)	(480 385)
სულ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9 767 166	13 019 615

	2013		2014	
	ნომუნალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ნომუნალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდები	3,97%-4,15%	91-182 დღე	4,12%-6,97%	91-364 დღე

შენიშვნა 10 - მოგების გადასახადი

ბანკი საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან. გარკვეული ხარჯების არასაგადასახადო მიზნით გამოქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ჯგუფი მუდმივად ექვემდებარება საგადასახადო განსხვავებებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან. მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ გადასახადს 15%-იანი განაკვეთით, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან საგადასახადო მოგებაზე.

შენიშვნა 11 - სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	31.12.2013	31.12.2014
სხვა ფინანსური აქტივები		
დებიტორული დავალიანება	31 947	15 661
დარიცხული პროცენტი დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	17 734	47 325
სულ სხვა ფინანსური აქტივები	49 681	62 986

სხვა არაფინანსური აქტივები

გადახდილი ავანსები	149 989	154 301
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	100	100
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	15 443	405
სხვა აქტივები	680	-
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	166 212	154 807

სულ სხვა აქტივები

215 893	217 792
----------------	----------------

სხვა ვალდებულებებს მიეკუთვნება:

	31.12.2013	31.12.2014
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორები	4 151 466	92 405
გადასახდელი პროცენტები დანარჩენი ოპერაციებიდან	9 135	27 535
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	4 160 600	119 940

სხვა არაფინანსური ვალდებულებები

მიღებული ავანსები	3 817	20 170
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	9 250	9 242
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	13 066	29 412

სულ სხვა ვალდებულებები

4 173 667	149 352
------------------	----------------

შენიშვნა 12 - ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	დანარჩენი ძირითადი საშუალებები	კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტის მიხედვით	სულ
საერთო ღირებულება						
ბალანსი 31.12.2013	642 108	20 000	422 509	5 054	1 399 714	2 489 385
დანამატები	5 817	-	31 487	-	-	37 304
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2014	647 925	20 000	453 996	5 054	1 399 714	2 526 689
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 31.12.2013	(243 264)	-	(162 626)	(5 054)	(493 897)	(904 841)
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	(137 755)	(4 000)	(64 563)	-	(279 943)	(486 261)
ცვეთა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2014	(381 019)	(4 000)	(227 189)	(5 054)	(773 839)	(1 391 102)
წმინდა ღირებულება						
ბალანსი 31.12.2013	398 844	20 000	259 883	-	905 817	1 584 544
ბალანსი 31.12.2014	266 906	16 000	226 807	-	625 875	1 135 587

შენიშვნა 13 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საერთო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2013	389 371	389 371
დანამატები	58 790	58 790
ბალანსი 31.12.2014	448 161	448 161
დაგროვილი ცვეთა		
ბალანსი 31.12.2013	(168 264)	(168 264)
ცვეთა პერიოდისათვის	(35 903)	(35 903)
ბალანსი 31.12.2014	(204 168)	(204 168)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2013	221 106	221 106
ბალანსი 31.12.2014	243 993	243 993

შენიშვნა 14 - ვალდებულება სხვა ბანკების მიმართ

	31.12.2013	31.12.2014
მიმდინარე ანგარიშები	197	211
ვადიანი ანაზრები და სესხები	1 736 300	6 707 334
სულ	1 736 497	6 707 545

შენიშვნა 15 - ვალდებულებები კლიენტების წინაშე

	31.12.2013	31.12.2014
<i>იურიდიული პირები</i>		
მიმდინარე ანგარიშები	11 483 390	10 993 418
ვადიანი დეპოზიტები	4 920 895	9 432 212
<i>ფიზიკური პირები</i>		
მიმდინარე ანგარიშები	2 505 634	5 029 038
ვადიანი დეპოზიტები	764 667	16 514 206
სულ	19 674 585	41 968 875
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა	1 965 395	582 865

კლიენტთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით შემდეგია:

	31.12.2013	31.12.2014
ფიზიკური პირები	3 270 301	5 681 851
ვაჭრობა და მომსახურება	2 407 616	11 778 432
ენერგეტიკა	493	1 271
სოფლის მეურნეობა	-	20
მშენებლობა	7 899 957	21 502 232
სამთო მოპოვება	2 534 800	1 268 310
ტრანსპორტირება და კომუნიკაცია	38 056	72
სხვა	1 557 967	1 153 823
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	17 709 190	41 386 011

შენიშვნა 16 - რეზერვები

	რეზერვები მოსამსახურეთა მომავალი გასაცემლებისათვის	დანარჩენი აქტივების დანაკარგის რეზერვი	სულ რეზერვები
იანვარი 01, 2013წ.	-	41 394	41 394
რეზერვის დამატებითი ხარჯის აღიარება	-	171 786	171 786
დეკემბერი 31, 2013წ.	-	213 180	213 180
რეზერვის დამატებითი ხარჯის აღიარება	8 028	91 863	99 890
დეკემბერი 31, 2014წ.	8 028	305 043	313 070

შენიშვნა 17 - საწესდებო კაპიტალი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნებადართული და მთლიანად
 განაღდებული ჩვეულებრივი აქციების დინამიკა:

	სულ
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 204 182
კაპიტალის ზრდა 2013 წლის განმავლობაში	-
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 204 182
კაპიტალის ზრდა 2014 წლის განმავლობაში	-
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15 204 182

შენიშვნა 18 - პროცენტული შემოსავლები და ხარჯები

	2013	2014
პროცენტული შემოსავალი		
ფასიანი ქაღალდები	694 994	530 342
სხვა ბანკებში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშები	197 544	453 476
კლიენტებზე გაცემული სესხები	431 740	1 004 948
მთლიანი პროცენტული შემოსავალი	1 324 278	1 988 766
პროცენტული ხარჯი		
ფიზიკურ პირთა ვადიანი დეპოზიტები	68 605	16 242
იურიდიული პირთა ვადიანი დეპოზიტები	67 611	81 093
ბანკების დეპოზიტები	9 135	124 125
ნოსტრო ანგარიშებზე ოვერდრაფტები	211	737
მთლიანი პროცენტული ხარჯი	145 561	222 197
წმინდა პროცენტული შემოსავალი	1 178 717	1 766 569

შენიშვნა 19 - საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

	2013	2014
საკომისიო შემოსავალი		
საკომისიო ანგარიშსწორების ოპერაციებზე	141 966	205 765
საკომისიო სალარო ოპერაციებზე	372 665	473 461
მთლიანი საკომისიო შემოსავალი	514 631	679 226
საკომისიო ხარჯი		
საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებზე	65 644	51 453
საკომისიო ანგარიშსწორების ოპერაციებზე	191 258	213 467
მთლიანი საკომისიო ხარჯი	256 902	264 920
წმინდა საკომისიო შემოსავალი	257 729	414 306

შენიშვნა 20 - სხვა შემოსავლები

	2013	2014
შემოსავლები გარანტიების მიხედვით	63 692	147 945
შემოსავლები მიღებული ჯარიმებიდან და საურავებიდან	399	619
შემოსავალი სალაროს ზედმეტობიდან	663	-
შემოსავლები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან და გადაფასებიდან	-	-
შემოსავლები უსასყიდლოდ მიღებული ფულადი და ძირითადი საშუალებებიდან	-	-
შემოსავლები დანარჩენი ოპერაციებიდან	3 179	12 436
სულ სხვა შემოსავლები	67 935	161 000

შენიშვნა 21 - ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2013	2014
ინკასაციის და ტრანსპორტირების ხარჯები	13 179	29 760
საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურება	40 452	80 514
აუდიტორული მომსახურება	10 608	11 618
ოპერაციული ლიზინგი	362 163	379 018
საგარანტიო ხარჯები	23 901	42 460
გადახდილი ჯარიმები და საურავები	123 400	2 000
სასამართლოს ხარჯები	1 990	962
სახელფასო ხარჯები	815 481	1 138 343
სოციალური დახმარების ხარჯები	2 024	1 505
სარეკლამო ხარჯები	1 630	5 640
წარმომადგენლობითი ხარჯები	25 639	26 084
მივლინების ხარჯები	10 701	10 960
კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხარჯები	3 200	2 427
ამორტიზაციის ხარჯები	467 405	518 164
ძირითადი საშუალებების შეკეთების ხარჯები	3 158	5 025
სამეურნეო საქონლის შეძენის ხარჯები	3 397	2 205
ფულის შეფუთვის ხარჯები	140	492
კომუნალური მომსახურების ხარჯები	39 428	41 662
ქონებს დაზღვევის ხარჯები	17 568	19 070
დაცვის მომსახურება	83 688	87 350
საფოსტო ხარჯები	2 326	1 211
საკანცელარიო ხარჯები	7 374	8 137
ტრანსპორტის შენახვის ხარჯები	6 414	6 580
სხვა ხარჯები	25 584	35 137
საგადასახადო ხარჯები	23 099	26 149
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2 113 948	2 482 474

შენიშვნა 22 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ბანკს, კონტროლდებიან მის მიერ ან ბანკთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ბანკს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ბანკი არის დამფუძნებელი;

(დ) ბანკის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ბანკსა და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ბანკის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ბანკის წილის ოდენობით და ამ შენიშვნაში ასეთი ტრანზაქციები არ არის წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემულია ბანკებსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციების დეტალები:

	2013 წლის 31 დეკემბერი		2014 წლის 31 დეკემბერი	
	დაკავშირებულ მხარეთა ბალანსები	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით	დაკავშირებულ მხარეთა ბალანსები	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლის მიხედვით
წამყვანი პერსონალის ხელფასი	70 642	70 642	388 343	388 343
ფულადი სახსრები ზირაათ ბანკის უცხოურ ფილიალებში	5 953 508	5 953 508	18 107 384	18 107 384

23. ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს ტრანზაქციის მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად და არა ლიკვიდაციის, ან იძულების შედეგად. წარმოდგენილი შეფასებები შესაძლებელია არ ასახავდეს იმ თანხებს, რომელსაც მიიღებდა ბანკი მისი ფინანსური ინსტრუმენტების რეალიზაციის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ბანკის შესაბამის საბალანსო მონაცემებთან ერთად:

	31 დეკემბერი 2013 წელი		31 დეკემბერი 2014 წელი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტები	18 152 051	18 152 051	32 095 770	32 095 770
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4 628 472	4 628 472	9 098 499	9 098 499
კლიენტებზე გაცემული სესხები	8 063 697	8 063 697	10 867 006	10 867 006
სხვა ფინანსური აქტივები	49 681	49 681	62 986	62 986
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1 736 497	1 736 497	6 707 545	6 707 545
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	19 674 585	19 674 585	41 968 875	41 968 875
გადასახდელი პროცენტები	23 323	23 323	4 174	4 174
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4 160 600	4 160 600	119 940	119 940

ფინანსური აქტივებისა და პასივების სამართლიანი ღირებულება დადგენილია შემდეგი წესით:

- სტანდარტული ვადებისა და პირობების მქონე და აქტიურ ლიკვიდურ ბაზარზე გასაყიდი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კვოტირებულ საბაზრო ფასებთან შედარების საფუძველზე (აქ შედის რეგისტრირებული გამოსყიდვადი ფასიანი ქაღალდები, კონვერტირებადი თამასუქები, სავალო ვალდებულებები და უვადო ფასიანი ქაღალდები).
- სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (დერივატიული ინსტრუმენტების ჩათვლით) სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების საყოველთაოდ მიღებული მოდელების მეშვეობით, დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზის საფუძველზე, მსგავსი ინსტრუმენტებით შესრულებული დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციების ფასებზე და დილერთა კვოტებზე დაყრდნობით.

24. კაპიტალი რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ ბანკი ფუნქციონირების გაგრძელება შეძლოს და აქციონერების მიერ მიღებული უკუგება მაქსიმალური გახადოს სესხისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა სხვა ღონისძიებებთან ერთად მონიტორინგს ექვემდებარება 1988 წელს ბაზელის კომიტეტის დადგენილ მაჩვენებლებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის მეთვალყურეობისას დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

	31 დეკემბერი 2013 წელი	31 დეკემბერი 2014 წელი
საერთო რეზერვები	15 204 182	15 204 182
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	2 042 872	1 589 698
მინუს: არამატერიალური აქტივები	(221 106)	(243 993)
პირველადი კაპიტალი:	17 025 948	16 549 887
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(453 174)	728 192
საერთო რეზერვები	161 729	217 760
მეორადი კაპიტალის კომპონენტების ჯამი	(291 445)	945 952
საზედამხედველო კაპიტალი	16 734 503	17 495 839
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	77,5%	49,3%
საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	76,2%	52,1%

კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად სტანდარტებით დაწესებული რაოდენობრივი საზომები ჯგუფისაგან მოითხოვს მთლიანი კაპიტალის (8%) და პირველადი კაპიტალის (4%) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმალური ნაშთების და კოეფიციენტების შენარჩუნებას.

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- ლიკვიდობის რისკს;
- საბაზრო რისკს.

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტიანი და ქმედითი მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ბანკს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარემ შეიძლება ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიაღება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ეს პროცესები სრულდება საკრედიტო კომიტეტის, რისკების მართვის დეპარტამენტისა და დირექტორთა საბჭოს მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი აღემატება 200,000 აშშ დოლარს - ნებისმიერი განაცხადის გაკეთებამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დამტკიცება, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ “ზირაათ ბანკის” სათაო ოფისის რისკების მართვის ცენტრალური სამსახურის მიერ.

ბანკი იყენებს იგივე საკრედიტო პოლიტიკას პირობით ვალდებულებებთან მიმართებაში, როგორც ბალანსში ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რაც ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურების განხორციელებას სესხის დამტკიცების მიზნებისათვის, მათ შორის ლიმიტების გამოყენებას რისკის შესამცირებლად და მიმდინარე მონიტორინგს. ბანკი აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებს როგორც წესი გააჩნია უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარების მაქსიმალური ოდენობა ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზე.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველო	სხვაარა ეგთო-ს ქვეყნები	ეგთო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2014 სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი ექვივალენტები და მოთხოვნები სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	21 223 285		19 970 984	41 194 269
საინვესტიციო აქტივები	13 019 615			13 019 615
კლიენტებზე გაცემული სესხები	10 867 006			10 867 006
სხვა აქტივები	217 793			217 793
სულ ფინანსური აქტივები	45 327 699	-	19 970 984	65 298 683
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	90 571		6 616 974	6 707 545
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	41 968 875			41 968 875
სხვა ვალდებულებები	149 352			149 352
სულ ფინანსური ვალდებულებები	42 208 798	-	6 616 974	48 825 772

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება, მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნება და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს კლიენტების და ბანკის ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ პროპორციაზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების (ძირისა და პროცენტის თანხების) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და

(ბ) ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა, რომელიც დაანგარიშებულია არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისას ფინანსურ ვალდებულებებზე ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფმა უნდა გამოისყიდოს ვალდებულება, და

(გ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფების მიხედვით ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები:

	12/31/2014			
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა
აქტივები				
ფულადი ექვივალენტები და მოთხოვნები სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	16 471 103	21 721 100	2 963 721	38 345
კლიენტებზე გაცემული სესხები	5 636 535	5 230 471	-	-
ვალდებულებები				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	6 707 545	-	-
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	12 859 565	25 471 395	3 637 915	-

ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

	2013			2014		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი ვადით	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტები	18 152 051		18 152 051	32 095 770		32 095 770
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4 628 472		4 628 472	9 098 499		9 098 499
კლიენტებზე გაცემული სესხები საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	736 201	7 327 496	8 063 697	1 375 934	9 491 072	10 867 006
სხვა აქტივები	9 767 166		9 767 166	13 019 615		13 019 615
სხვა აქტივები	15 532	200 361	215 893	51 331	166 462	217 793
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები		1 805 653	1 805 653		1 379 581	1 379 581
სულ ფინანსური აქტივები	33 299 422	9 333 509	42 632 931	55 641 149	11 037 115	66 678 264

სს “ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების ასენა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2013			2014		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი ვადით	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	197	1 736 300	1 736 497	4 843 945	1 863 600	6 707 545
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	19 674 585	-	19 674 585	41 688 892	279 983	41 968 875
გადასახდელი პროცენტები	23 323	-	23 323	-	4 174	4 174
სხვა ვალდებულებები	4 039 097	134 570	4 173 667	57 493	91 859	149 352
სულ ფინანსური ვალდებულებები	23 737 202	1 870 870	25 608 072	46 590 330	2 239 616	48 829 946
სულ ფინანსური ვალდებულებები	9 562 220	7 462 639	17 024 859	9 050 819	8 797 499	17 848 318
ჯამური ლიკვიდობა	23 737 202	1 870 870	25 608 072	46 590 330	2 239 616	48 829 946

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასების დადგენის სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ჯგუფი. ჯგუფის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და მის წინაშე არსებულ რისკებში რაიმე ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

ბანკი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებს, ვინაიდან ჯგუფი სესხებს იღებს როგორც ფიქსირებული, ასევე მცოცავი განაკვეთებით. ჯგუფი ამ რისკებს მართავს ფიქსირებული და მცოცავი განაკვეთის მქონე სესხების შერევის საშუალებით.

საკრედიტო განყოფილება აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ადეკვატურობით, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. აგრეთვე ხორციელდება მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი, ფასდება დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენა ბანკის მომგებიანობაზე.

ბანკის სესხის კონტრაქტების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესობა, რომლებიც საპროცენტო სარგებლის მატარებელია, ან ცვლიდა, ან მოიცავს პირობას, რომელიც საპროცენტო განაკვეთის მსესხებლის შეხედულებისამებრ შეცვლის საშუალებას იძლევა. ბანკი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მარჟის მონიტორინგს და შესაბამისად მიაჩნია რომ არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკსა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ბანკი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძვლების ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ბანკს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახაზინო განყოფილება ახორციელებს ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამოშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ჯგუფზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ბანკი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტებისა და მარჟების და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნადგებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ბანკი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს ბანკის რეპუტაციას, გამოიწვიოს იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების ეფექტიან პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.